შპს „მინერალი“

ს/კ 221299609 ქ. წყალტუბო, ჭავჭავაძის 24 ტელ. 5 99 427 207

„--06---„---ოქტომბერი---- „2022 წ.

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გაცნობებთ, რომ შპს „მინერალი“-ს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 14 ივლისის N2-1070 ბრძანებით გადაეცა სს „საქგუმბრინი“-ზე სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა და ბენტონიტური თიხა) გადამუშავებაზე გაცემული 22.04.2021წ. N2-480 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (N37 17.06.2010 წ. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა).

ზემოაღნიშნული N37 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, საწარმოში გათვალისწინებულია 5400ტ თიხისა და 5400ტ კირქვის ფხვნილის დამზადება (ჯამურად 10 800ტ), რისთვისაც მოიხმარება 7200 ტ. თიხა და 5600 ტ. კირქვა (ჯამურად 12 800ტ).

შპს „მინერალს“ დაგეგმილი აქვს წარმოებული პროდუქციის სახეობრივი კორექტირება ისე რომ არ შეიცვლება ჯამური წარმადობა. კერძოდ დაგეგმილია 200 ტ. თიხისა და 10600 ტ. კირქვის ფხვნილის წარმოება (ჯამურად 10800ტ) რისთვისაც გამოყენებული ნედლეულის რაოდენობა იქნება 260ტ თიხა და 10900ტ კირქვა, ჯამურად 11160 ტონა, ნაცვლად 12800ტ ნედლეულისა.
რადგან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მეხუთე მუხლის მეთორმეტე ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებულით შეცვლა ან/და ექსპლოატაციის პირობის შეცვლა, მათ შორის წარმადობის გაზრდა, სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. იგივე კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის ანგარიში, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარდენილი იქნა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.
სააგენტოს 29/09/2022, N 21/5748 წერილით გამოგვეგზავნა შენიშვნები, ცალკეული საკითხების დაზუსტების მიზნით, რომელთა გათვალისწინებითაც მოხდა სკრინინგის განაცხადის გადამუშავება.

წარმოგიდგენთ ზემოიაღნიშნულ სკრინინგის განაცხადს, გთხოვთ განიხილოთ დეა მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი: სკრინინგის განაცხადის ელ. ვერია;

პასუხები N21/5748 წერილით გამოგზავნილ შენიშვნებზე;

Shp - ფაილები.

პატივისცემით:
ნ. გურეშიძე
დირექტორი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„07“ 10 2022
№ 5461